


შპს „აგდ“

2023წ. 31დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	20,973	25,077	102,974
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	456,963	338,032	380,925
სხვა მოთხოვნა	89,931	81,409	64,639
მოკლევადიანი აქტივები	567,867	444,518	548,538
გრძელვადიანი ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება	1,765,516	1,765,516	1,765,516
ძირითადი საშუალებები	2,904,045	3,134,786	3,103,594
სხვა გრძელვადიანი აქტივები	233,000		
გრძელვადიანი აქტივები	4,902,561	4,900,302	4,523,364
სულ აქტივები	5,470,428	5,344,820	5,344,476
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	85	64
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	4349	2,854	7,078
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	4,285	4,285	4,285
მოკლევადიანი ვალდებულებები	7,224	7,224	11,427
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	8,634	7,224	11,427
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9,372	9,372	9,220
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2,660,789	1,761,476	1,865,843
არამაკონტროლებელის წილი			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	2,450,785	3,156,263	3,218,219
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	102,000	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	5,120,946	5,029,111	5,093,282
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	340,848	308,485	312,939
სულ საკუთარი კაპიტალი	5,461,794	5,337,596	5,406,221
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,470,428	5,344,820	5,417,648

გიორგი სვანიძე (დირექტორი)

მერაბ მელია (მთ ბუღალტერი)




შპს „აგდ“

2023 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები	4,663,137	3,442,528
სხვა	-	-
საერთო მოგება	4,663,137	3,442,528
სხვა შემოსავალი	0	5,644
დასაქმებულთა ანაზღაურება	(602,071)	(644,654)
ცვეთა და ამორტიზაცია	(58,606)	(51,146)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	(6,090)	(6,090)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(606,897)	(176,915)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,267,574)	(878,805)
საოპერაციო მოგება	3,395,563	2,563,723
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	886	358,114
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	(393,040)	(410,807)
მოგება/(ზარალი)	3,001,637	2,511,030
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	3,001,637	2,511,030
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	2,660,789	1,674,708
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	340,848	836,322
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3,001,637	2,511,030
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5,337,596	5,406,221
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2,227,225)	(2,677,024)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	42,788	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(693,002)	97,369
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,461,794	5,337,596

გიორგი სვანიძე (დირექტორი)

მერაბ მელია (მთ ბუღალტერი)

კომპანიის დასახელება: შპს „აგდ“

შპს „აგდ“

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 211360720

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

დამფუძნებელი: დავით ქვათაძე 20% (საქართველოს მოქალაქე)

ნინო კაციაშვილი 20% (საქართველოს მოქალაქე)

მაკა თევდორაძე 20% (საქართველოს მოქალაქე)

მერი ჯაფარიძე 20% (საქართველოს მოქალაქე)

გოგი ლიპარტელიანი 20% (საქართველოს მოქალაქე)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგდ“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 1996 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., №115. კომპანიის ფაქტური მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ნუცუბიძის ქუჩა N1

შენიშვნა2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. კომპანიის მიერ, მეხუთედ მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „აგდ“

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარიკაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა - 2%

მანქანა დანადგარები - 5%

ოფისის აღჭურვილობა - 6.5%

შპს „აგდ“

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

შპს „აგდ“

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, განუღი ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/განუღი ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება, როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები. საანგარიშგო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	20,973	25,077
სულ	20,973	25,077

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	456,963	338,032
გადახდილი ავანსები	89,931	81,409
სულ	546,894	419,441

შპს „აგდ“

შენიშვნა 3 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	-	64
ვალდებულება სანაშროს პერსონალის წინაშე	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	4,349	7,078
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	4,285	4,285
სულ	8,634	19,080

შენიშვნა 4 ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
მომსახურების განწევადან	4,663,137	3,442,528
სულ	4,663,137	3,442,528

შენიშვნა 5 საოპერაციო ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	602,071	644,654
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	606,897	176,915
ცვეთა და ამორტიზაცია	58,606	51,146
იჯარის ხარჯი	0	6,090
სულ	1,267,574	878,805